



ანარმთე საქართველოში

## მიკრო და მცირე მეწარმეობა 2020

### პროგრამის შინაარსი:

აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარების გაწევის გზით, როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მეწარმეებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამალღებას ბიზნესის კეთების კუთხით.

პროგრამის ორ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გაფართოება გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება.

ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას მაქსიმუმ 30 000 ლარის გრანტის ოდენობით. პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების მინიმუმ 90% უნდა იქნას გამოყენებული ძირითადი საშუალებების, ხოლო 10% საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

ტექნიკური დახმარება ითვალისწინებს მეწარმეობაში და ბიზნეს გეგმის შედგენაში ტრენინგების ჩატარებას პოტენციური ბენეფიციარებისთვის, რომლებიც წარმატებით გაივლიან პროგრამის ბიზნეს იდეების ეტაპს.

პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულია:

- ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები
- განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი
- მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტები
- ახალი ბიზნესის წამოწყება
- ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება
- სოფლად/მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება

### სამიზნე ტერიტორიული ერთეულები:

პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რეგიონები გაერთიანებულია სამიზნე ლოტებში, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის სამიზნე ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.



ანარმთა საქართველოში

**ლოტი 1** - აჭარა გურია, სამეგრელო ზემო სვანეთი

**ლოტი 2** - კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი

**ლოტი 3** - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი

**ლოტი 4** - სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი

**ლოტი 5** - თბილისი

**მიზნობრივი ჯგუფი:**

საქართველოს მოქალაქე , სრულწლოვანი ფიზიკური პირი

**პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები:**

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე
- არ არის საჯარო მოხელე
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე
- აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.
- პროგრამის ახალმა ბენეფიციარმა გრანტის მოპოვების შემთხვევაში, უნდა განახორციელოს საკუთარი ფულადი თანამონაწილეობა მოთხოვნილი გრანტის ოდენობის 10%, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 5%
- პროგრამის არსებულმა ბენეფიციარმა გრანტის მოპოვების შემთხვევაში, უნდა განახორციელოს ფულადი თანამონაწილეობა მოთხოვნილი გრანტის ოდენობის 25%, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 15%
- პროგრამის ბენეფიტები:
- სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს მაქსიმუმ 30 000 ლარს.
- ფინანსდება ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობა, გარდა სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებებისა, რომელიც ხორციელდება სამიზნე რეგიონში და არ არის აკრძალული გადასახადის გადამხდელი პირებისთვის.



ანარმთა საქართველოში

### განაცხადების მიღების/პროგრამის ხანგრძლივობის ეტაპები:

პროგრამის შესახებ დაზუსტებული ვადები განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და განთავსდება სააგენტოს ვებ გვერდზე [www.enterprise.gov.ge](http://www.enterprise.gov.ge).

პროგრამის განხორციელების ეტაპი მოიცავს რამდენიმე ფაზას:

1. ბიზნეს იდეების კონკური - იდეების კონკურსის ფარგლებში ბიზნეს იდეების/ განაცხადების რეგისტრაცია ხორციელდება ონლაინ რეჟიმში.
2. განაცხადების (ბიზნეს იდეების) განხილვა/შეფასება - ბიზნეს იდეების განხილვა/შეფასება განხორციელდება კონტრაქტორი ორგანიზაცია სააგენტოს მიერ დადგენილი და წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიითა და შეფასების კრიტერიუმებით.
3. პირველადი კანდიდატების დატრენინგება პროექტის (ბიზნეს გეგმა) შედგენაში - წარმატებული ბიზნეს განაცხადების ავტორებისთვის კონტრაქტორი ჩაატარებს ტრენინგებს მეწარმეობასა (მათ შორის საგადასახადო საკითხები) და ბიზნეს გეგმის შედგენასთან დაკავშირებით.
4. ბიზნეს გეგმების კონკურსი - ბიზნეს გეგმების კონკურსის ფარგლებში პროექტების მიღება ხორციელდება ონლაინ რეჟიმში.
5. წარმოდგენილი პროექტის (ბიზნეს გეგმები) შეფასება - ბიზნეს გეგმების განხილვა განხორციელდება კონტრაქტორის მიერ, სააგენტოს დადგენილი და წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიითა და შეფასების კრიტერიუმებით, ასევე ბენეფიციართან გასაუბრების საფუძველზე. დამატებით, განხორციელდება შერჩეულ კანდიდატებთან ბიზნესის განხორციელების ადგილის მონიტორინგი.
6. თანამონაწილეობის თანხის დახარჯვა - სააგენტოსგან გრანტის მიღებამდე ბენეფიციარმა უნდა გახარჯოს საკუთარი თანამონაწილეობის თანხა.
7. თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვა - სააგენტოს მიერ, თანადაფინანსების თანხა ბენეფიციარის ანგარიშზე ჩარიცხება მას შემდეგ, რაც განხორციელდება ბენეფიციარის მხრიდან თანამონაწილეობის თანხით პროგრამული აქტივობების შესრულება და შესყიდვის სრული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
8. შუალედური და საბოლოო მონიტორინგი - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბენეფიციარის მიერ სამუშაოებისა და შესყიდული აქტივების, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის ადგილზე ინსპექტირება/ შემოწმება.
9. დამატებითი ტრენინგები - დამატებით ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს კონტრაქტორი, ბენეფიციარების მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოსთან შეთანხმებით.



ანარმთა საქართველოში

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის იმპლემენტირებას განახორციელებენ ტენდერის საფუძველზე შერჩეული კონტრაქტორი ორგანიზაციები. კონტრაქტორი ორგანიზაციების რეგიონული ოფისების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია სააგენტოს ვებ გვერდზე: [www.enterprise.gov.ge](http://www.enterprise.gov.ge);

- ა) კონტრაქტორი ორგანიზაცია უშუალოდ ახორციელებს პროგრამის პოპულარიზაციას შესაბამის ლოტთან მიმართებით, ამ პროგრამითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- ბ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით და შეფასების კრიტერიუმებით ამოწმებს და აფასებს აპლიკანტის მიერ წარდგენილ ბიზნეს იდეებს და ბიზნეს გეგმებს.
- გ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ატარებს ტრენინგებს ბიზნესგეგმის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- დ) პროგრამის ახალ ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციარს უწევს პროგრამასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას;
- ე) ბიზნესგეგმის შეფასების ეტაპზე აპლიკანტებთან სააგენტოს მიერ დადგენილი წესით წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით და შეფასების კრიტერიუმებით ატარებს გასაუბრებას;
- ვ) ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმებამდე ამოწმებს აღრიცხავს და ასურათებს აქტივებს სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- თ) ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სააგენტოს მიერ დადგენილი წესით ადგენს შესამოწმებელი პროექტების ადგილზე დათვალიერების როგორც პერიოდულ, ასევე განმეორებითი/დამატებითი მონიტორინგის განრიგს, ახორციელებს შესყიდული აქტივების ადგილზე ინსპექტირებას.

#### **შეზღუდვები:**

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება:

- ა) რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობები;
- ბ) ბიოლოგიური აქტივების შექმნა, რომელიც გამიზნულია აღნიშნული აქტივების ერთჯერადი გაყიდვის/ვაჭრობის მიზნით;
- გ) სატრანსპორტო საშუალებების შექმნა, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების გადასაყვანად;



ანარმთა საქართველოში

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება და მისთვის განკუთვნილი მომსახურება

#### წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

აპლიკანტის მიერ განაცხადის (ბიზნეს იდეა) წარდგენის ეტაპზე არ მოითხოვება რაიმე სახის დოკუმენტაციის წარმოდგენა. განაცხადი ივსება და რეგისტრირდება ონლაინ, სააგენტოს ვებ გვერდზე.

მონაწილის მიერ პროგრამით განსაზღვრული ეტაპების წარმატებით გავლის და გამარჯვებულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულება ფორმდება სააგენტოს და ბენეფიციარის შორის.

#### ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
- საქართველოში რეგისტრირებული კომერციული საბანკო დაწესებულებიდან მეწარმის ანგარიშსწორების ანგარიშის რეკვიზიტები.
- ცნობა კომერციული ბანკიდან მინიმალური თანამონაწილეობის თანხის მობილიზების შესახებ.
- ცნობა მიმდინარე ვადაგადაცილების არქონის შესახებ კომერციული ბანკიდან, სადაც ირიცხება თანადაფინანსების (გრანტის) თანხა.

#### ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

- თანამონაწილეობის და თანადაფინანსების გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სავალდებულოა, ყველა შესყიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გონივრულ ფასად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისგან, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.

#### თანადაფინანსების მიღების შემდგომ მონაწილის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები:

ბენეფიციარმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად, უნდა წარადგინოს და დოკუმენტურად დაადასტუროს, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსებით/თანამონაწილეობით შესრულებული ყველა შესყიდვა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გონივრულ ფასად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისგან, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.